პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 29 მარტი, 1944 წ. № 65 (7009). ფასი 20 კაპ.

წითელმა არმიამ საბჭოთა დროშა კვლავ ააფრიალა ჩვენი სამშობლოს დასავლეთის საზღვარზე — მდინარე პრუტზე! პირველ, ჯერ კიდევ მცირე უბანზე საბჭოთა მიწა-წყალი სავსებით და მთლიანად გაწმენდილია მტრისაგან.

შორს არ არის ის დრო, როდესაც წითელი არმია გერმანელი ფაშისტი არამზადებისაგან გაასწმენდს ჩვენი დიადი სამშობლოს მთელს საზღვარს ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე.

გუშინ ჩვენმა ჯარებმა იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდი საოლქო და სამრეწველო ცენტრი — ქალაქი ნიკოლაევი.

დიდება და საქებარი დიდი სტალინის გამოზრდილ წითელ მეომრებს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მაიორ ოვსკის

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა დღეს, 28 მარტს, შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ, იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდი საოლქო და სამრეწველო ცენტრი — ქალაქი **ნიკოლაევი** — დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი, ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური შავ ზღვაზე და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი **იუშნი ბუგის** შესართავთან.

ქალაქ **ნიკოლაევის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **ცვეტაევის**, გენერალ-ლეიტენანტ **ბრეჩკინის**, გენერალ-ლეიტენანტ **შლემინის**, გენერალ-მაიორ **ბელოვის**, გენერალ-მაიორ **გორბატოვის**, გენერალ-მაიორ **რუბანიუკის**, პოლკოვნიკ **მარბელოვის**, პოლკოვნიკ **დოროფეევის** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **სვირიდოვის** ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ **ნედელინის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ოსმოლოვსკის**, პოლკოვნიკ **სოლოვიოვის**, პოლკოვნიკ **ნიკიტინის**, პოდპოლკოვნიკ **პოპოვის** არტილერისტებმა, ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **სუდეცის** მფრინავებმა, საინჟინრო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ **კოტლიარის** მესანგრეებმა და მაიორ **კოტანოვის** მეზღვაურებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **ნიკოლაევის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ნიკოლაევის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 28 მარტს, 22 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორასოცდაათი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალპით سალუტს აძლევს უკრაინის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ნიკოლაევი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **ნიკოლაევის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 28 მარტი.

ლაშქრობა გამარჯვების მოსავლისათვის!

წითელი არმია პრუტთან მივიდა! ჩვენი სახელმწიფო საზღვრის პირველი 85 კილომეტრი მტრისაგან განთავისუფლებულია!

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ხალხები ღრმა კმაყოფილებისა და უდიდესი სიხარულის გრძნობით შეხვდნენ უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ **სტალინის** 1944 წლის 26 მარტის ბრძანებას. ეს დღე სამუდამოდ ჩაიწერა სამამულო ომის გმირულ მატიანეში, როგორც მისი ახალი ბრწყინვალე ფურცელი. ამ დიდ ისტორიულ მოვლენას საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ ფრონტზე გმირული ბრძოლით და ზურგში თავდადებული მუშაობით, როგორც ეს მათ უკვე გამოხატეს მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე მთელს ჩვენს ქვეყანაში ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, ჩუკოტკის ნახევარკუნძულიდან კიევშჩინამდე.

საქართველოს მშრომელთა პატრიოტულ აღმავლობას ამ ისტორიულ დღეებში კარგად გამოხატავს ის შესანიშნავი თაოსნობა, რომელიც ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეებმა გამოიჩინეს. მათ წამოიწყეს სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მათ მოწოდებით მიმართეს აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების ყველა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ჩაებან შეჯიბრებაში.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ლაგოდეხელთა ამ პატრიოტულ მიმართვას.

ლაგოდეხელმა ამხანაგებმა ეს მიმართვა მიიღეს შეკრებაზე, სადაც მათ 1943 წელს სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებებისათვის გადაეცათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს ჯილდო უდიდესი პატივია! მაგრამ ის წარმატებები, რაც შარშან ლაგოდეხელებმა მოიპოვეს, მიმდინარე წელს განმტკიცებულ და გამრავლებულ უნდა იქნას. ამ მიზნით არის შთაგონებული ლაგოდეხელი ამხანაგების ახალი თაოსნობა.

რესპუბლიკაში ამჟამად გაჩაღებულია საგაზაფხულო თესვა. თესვის სწრაფად და მაღალხარისხოვნად ჩატარება საფუძველს უყრის მომავალ უხვ მოსავალს.

რა ამოცანებს ისახავენ სოფლის მეურნეობაში ლაგოდეხის რაიონის მშრომელები 1944 წელს? რა ვალდებულებები იკისრეს მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში?

მარცვლეული კულტურები, თამბაქო, ვენახი, გერანი, მზესუმზირა, კარტოფილი, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა, სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება — ყველა ამ დარგში ნაკისრებია ახალი ვალდებულებები, დასახულია კონკრეტული საბრძოლო ამოცანები. ნაკისრი ვალდებულებები მკაფიოდ მეტყველებენ, რომ წელს უნდა მივიღოთ უფრო უხვი, მაღალი მოსავალი, ვიდრე შარშან.

წელს ლაგოდეხის რაიონში გათვალისწინებულია ჰექტარზე საშუალოდ აღებულ იქნას 15 ცენტნერი თავთავიანი კულტურები, 25 ცენტნერი სიმინდი, 11 ცენტნერი თამბაქო, 65 ცენტნერი ყურძენი, 100 ცენტნერი გერანის მასა, 10 ცენტნერი მზესუმზირა. კოლმეურნეებმა იკისრეს ვალდებულება 5 ცენტნერით გაადიდონ კარტოფილის მოსავალი, თითო კოლოფ თესლზე მიიღონ 46 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი, 1944 წელს გადაჭარბებით შეასრულონ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ყველა სახის პირუტყვის მიხედვით. სხვა მთელ რიგ ვალდებულებებთან ერთად ამას კისრულობენ ლაგოდეხელი ამხანაგები და პირობას იძლევიან, რომ ისინი თავის სიტყვას საქმედ აქცევენ.

მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მანქანა-ტრაქტორების სანიმუშო მოვლას, მათ წესიერ გამოყენებას, იმას, რომ მივაღწიოთ ყველა ტრაქტორის, კომბაინის მაღალნაყოფიერ მუშაობას. ამიტომ სატრაქტორო ბრიგადებს მიწის ნაკვეთები ემაგრებიან ერთი წლით და წესდება როგორც ტრაქტორის, ისე სატრაქტორო ბრიგადის სამუშაო გეგმა. ასეა ჩაწერილი მიმართვაში, ამას კისრულობენ ლაგოდეხელი ამხანაგები, რომლებსაც ესმით, რომ საწვავ-საცხები მასალების დაზოგვას, მკაცრ ეკონომიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ომიანობის ვითარებაში.

სერიოზული საკითხია სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება. ტრაქტორისტების, კომბაინერების, ბრიგადირების, რგოლების ხელმძღვანელების, ფერმათა გამგეების ცოდნასა და უნარზე დიდად არის დამოკიდებული მიმდინარე წელს ახალი აღმავლობის მიღწევა სოფლის მეურნეობაში. ამიტომ საჭიროა გულისხმიერად მოვეკიდოთ ამ საქმეს, მოვამზადოთ სოფლის მეურნეობის ახალი კადრები.

ასევე ყოველდღიურად უნდა ვიზრუნოთ შრომის ორგანიზაციისათვის კოლმეურნეობებში. შრომის სწორი ორგანიზაცია გამარჯვების სათავეა, მისი საწინდარია. თუ წესიერად არ არის მოწყობილი ჯგუფური და ინდივიდუალური სანარდო სისტემა, ზუსტად არ ხდება მუშაობის აღრიცხვა რგოლებსა და ბრიგადებში — იქ წარმატებაც არ იქნება.

საჭიროა მტკიცედ, განუხრელად გავატაროთ პარტიისა და მთავრობის დადგენილება შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

დაწესებულ ვადებში უნდა დამთავრდეს კოლმეურნეობებში წლიური საწარმოო გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენა.

დავნერგოთ მოწინავე სტახანოველთა მდიდარი გამოცდილება, გავხადოთ იგი მასობრივ საკუთრებად — ასეთია ამოცანა. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ამჟამად სოფლად ქალები ძირითად მუშახელს წარმოადგენენ და მათი შრომა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ამ ამოცანებმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს ლაგოდეხელთა მიმართვაში. მათ ინიციატივას ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ეს იქნება სახალხო ლაშქრობა 1944 წლის გამარჯვების მოსავლისათვის და დახმარება წითელი არმიისადმი, რომელიც დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით უმაგალითო გამარჯვებებს აღწევს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან გმირულ ბრძოლაში.

ბრძანებულება
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
მოლდაველი პარტიზანებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მტრის ზურგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან სიმამაცისა და გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და მედალი „**ოქროს ვარსკვლავი**“:

1. ვასილ ივანეს-ძე **ტომოშჩუკს**,
2. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **ფროლოვს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წ. 24 მარტი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
28 მარტის ოპერაციული ცნობა

28 მარტის განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს სტანისლავის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი **გვოზდეცი**, ჩერნოვიცის ოლქის რაიონული ცენტრი — ქალაქი **კიცმანი**, კამენეც-პოდოლსკის ოლქის რაიონული ცენტრი **მინკოვცი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 70-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სოროკი**, **კისელიოვი**, **კადობოვცი**, **ვერენჩანკა**, **პოგორელოვკა**, **პოდგაი**, **სტარაია** და **ნოვაია სოკოლოვკა**, **გარანოვკა**, **ზინკოვი**, **პოკუტინცი**, **მალიევცი**, **სინიაკოვცი**, **ლისეცი**, **სოკოლეცი** და რკინიგზის სადგურები **ოკნა**, **იურკოვცი**, **კისელიოვი**, **იასენეა პოლნი**.

ქალაქ **მოგილიოვ-პოდოლსკის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ეწევიან მდინარეებს **დნესტრსა** და **პრუტს** შუა, დაიკავეს ჩერნოვიცის ოლქის რაიონული ცენტრი **კალე

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის

ღაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეებს, კოლმეურნე ქალებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო! დიდი **სტალინის** ბრძნული წინამძღოლობით ჩვენი ძლევამოსილი გმირი წითელი არმია ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს, ათავისუფლებს საბჭოთა მიწა-წყალს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან და აახლოებს ჩვენი საბოლოო გამარჯვების ჟამს.

მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, რომელნიც თავდადებულად შრომობენ ზურგში, ეხმარებიან წითელ არმიას მტრის სრულ და საბოლოო განადგურებაში. **სტალინის** გენიით შექმნილი საკოლმეურნეო წყობილება ჩვენი გამარჯვებების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. სოციალისტური სოფლის მეურნეობის უპირატესობანი საშუალებას გვაძლევენ პანუწყვეტლივ და სულ უფრო და უფრო ზრდადი ოდენობით უზრუნველყონ წითელი არმია სურსათით და ჩვენი ქვეყნის მრეწველობა — ნედლეულით.

ღაგოდეხის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც საქართველოს ყველა მშრომელნი, აღფრთოვანებულნი ამხანაგ **სტალინის** მიერ ოქტომბრის 26 წლისთავზე გაკეთებული ისტორიული მოხსენებით, დღითიდღე სულ უფრო და უფრო აძლიერებენ ფრონტისადმი დახმარებას.

1943 წელს ჩვენ გავაჩაღეთ საქართველოს აღმოსავლეთი რაიონების სოციალისტური შეჯიბრება ეხვი მოსავლის მიღებისათვის, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვის პასუხად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთა შორის დაიწყო შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სანიმუშოდ ჩატარებისათვის.

ღაგოდეხის რაიონის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა, რომლებმაც ფართოდ გაავრცელეს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მუშაობის გამოცდილება, აამაღლეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ხარისხი და თავდადებულად იშრომეს, პირნათლად შეასრულეს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. 1943 წელს წარმატებითი მუშაობისათვის ლაგოდეხის რაიონს, როგორც შეჯიბრებაში გამარჯვებულს, მიეკუთვნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ერთი თვით ადრე 111 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების გეგმა. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების გეგმა შესრულებულია 104,4 პროცენტით და მტს-ის ნატურანაზღაურებისა — 106,8 პროცენტით.

რაიონის კოლმეურნეობებმა პურის ჩაბარების გეგმის შესრულების შემდეგ 8.357 ფუთი მარცვლეული მიჰყიდეს სახელმწიფოს, რაიონმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაშიც. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 104,2 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 107,6 პროცენტით, ღორისა — 146,8 პროცენტით, ფრინველისა — 101,4 პროცენტით. 1943 წელს სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულება შესრულებულია ვადამდე.

მტს-მა 1943 წლის საწარმოო გეგმა რბილ ხვნაზე გადაყვანით 106 პროცენტით შეასრულა.

რაიონის კოლმეურნეები, კოლმეურნე ქალები და ყველა მშრომელნი თავიანთი პირადი დანაზოგით აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაში. 1943 წელს სამხედრო სესხზე ხელმოწერამ 6.467.000 მანეთზე მეტი შეადგინა, რაც მთლიანად შეტანილია. წარმატებით დამთავრდა აგრეთვე ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებზე ხელმოწერა, რის თანხაც უკვე მთლიანად არის შეტანილი.

რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით ჩატარდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარების კვარეული. კოლმეურნეობებმა წითელარმიელთა ოჯახებს შეუკეთეს 159 სახლი, აუშენეს 23 ახალი სახლი. წითელ მებრძოლთა ოჯახებს მიეცათ 2.500 კუბური მეტრი შეშა, 156 ტონა მარცვლეული, 10,4 ტონა კარტოფილი, 431 კილოგრამი თაფლი და სხვა პროდუქტები.

1943 წლის შემდგომაზე გეგმით გათვალისწინებული 10.700 ჰექტარის ნაცვლად ჩვენ დავთესეთ 11.200 ჰექტარი თავთავიანი კულტურები და ახლა წარმატებით ვამუშავებთ საშემოდგომო ნათესებს.

ჩვენ ვიცით, რომ საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში, რათა დავაჩქაროთ მტრის საბოლოო განადგურების ჟამი.

ჩვენი ქვეყანა და ფრონტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან წელს უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტსა და ნედლეულს მოითხოვენ, ვიდრე 1943 წელს. ამოცანა ის არის, რომ ვადაზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესვა, მივიღოთ გამარჯვების უხვი მოსავალი; მივაღწიოთ სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით მოემზადნენ საგაზაფხულო თესვისათვის. ვადამდე ჩატარდა თამბაქოს თესვა კვალსამბურებში. გეგმით გათვალისწინებული 68.000 კვადრატული მეტრის ნაცვლად დათესილია 73.000-ზე მეტი კვადრატული მეტრი, ხოლო ღია გრუნტში გეგმით გათვალისწინებული 120.000 კვადრატული მეტრის ნაცვლად — 300.000 კვადრატული მეტრი. თამბაქოს ნათესი სანიმუშო მდგომარეობაშია და ჩვენ მივიღებთ ადრიან და საღ ჩითილს. კარტოფილისა და მზესუმზირას თესვის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული.

რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები ვადამდე ასრულებენ დავალებებს და იბრძვიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის.

სოფელ **ორჯონიკიძის** ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. გობეჯიშვილი), რომელმაც 1943 წელს პარტიის ლაგოდეხის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა ძიღლო, ვადამდე დაამთავრა თამბაქოს, კარტოფილის, მზესუმზირას თესვა და წარმატებით ასრულებს მიხდვრის სხვა სამუშაოებსაც.

ორგანიზებულად მიმდინარეობს სამუშაები სოფ. შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. გ. ნატროშვილი), სოფ. ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ა. ტოკლიკიშვილი), სოფ. ულიანოვკის „კრასნოარმეიცის“ სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. დ. ულუტკოვი), სოფ. შრომის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე ამხ. ე. სამარგველიანი) და სხვა კოლმეურნეობებში.

დამთავრდა სატრაქტორო პარკის რემონტი. მტს-ის ტრაქტორებით უკვე მოხნულია 2.900 ჰექტარი, რითაც საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 56 პროცენტით. მე-5 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ვ. გოგოლაძე) უკვე მოხნა 330 ჰექტარი და საგაზაფხულო ხვნის გეგმა 110 პროცენტით შეასრულა. მოწინავე ტრაქტორისტმა მ. მურმანიშვილმა „უნივერსალის“ მარკის ტრაქტორით მოხნა 109 ჰექტარი, მოწინავე ტრაქტორისტმა ვ. შეგჩენკომ „სტზ“ მარკის ტრაქტორით მოხნა 110 ჰექტარი და სხვ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი რაიონისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშის მიკუთვნება გვავალებს გამოვიჩინოთ საუკეთესო მუშაობის ახალი ნიმუშები.

საქართველოს ყველა კოლმეურნის, კოლმეურნე ქალისა და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის წინაშე დგას ჩვენი გმირი წითელი არმიისათვის დახმარების შემდგომი გაძლიერების საპატიო და პასუხსაგები ამოცანა.

ჩვენ წინადადება შემოგვაქვს გაჩაღებულ იქნას საქართველოს აღმოსავლეთი რაიონების სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საუკეთესოდ მოწყობისა და ჩატარებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისათვის, სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის და ეკისრებოთ შემდეგს ვალდებულებებს:

მარცვლეული კულტურების დარგში:

1. დაწესებულ ვადაზე ადრე დავამთავროთ საგაზაფხულო მარცვლეული კულტურებისათვის მიწების მოხვნა და დათესვა 2.500 ჰექტარზე;

2. თავთავიანი საშემოდგომო კულტურების 11.200 ჰექტარი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 14 ცენტნერის ნაცვლად მივიღოთ არანაკლებ 15 ცენტნერისა და სიმინდის 2.100 ჰექტარი ფართობიდან გეგმით გათვალისწინებული 22 ცენტნერის ნაცვლად არანაკლებ 25 ცენტნერისა თითოეულ ჰექტარზე;

3. საშემოდგომო კულტურების ნათესების ფარცხვა ჩავატაროთ 9.500 ჰექტარზე და დამატებითი საკვები შევიტანოთ სულ მცირე 1.500 ჰექტარზე;

4. ვაწარმოოთ სისტემატური ბრძოლა, არ დავუშვათ ნათესების დაზიანება სოფლის მეურნეობის მავნებლებისაგან;

5. საშემოდგომო ნათესები გავამარგლოთ ორჯერ მაინც და მივაღწიოთ მინდვრების სრულ გაწმენდას სარეველებისაგან;

6. განსაკუთრებული გულდასმით დავამუშაოთ და საჭირო აგროღონისძიებები განვახორციელოთ სათესლე ნაკვეთებზე;

7. სიმინდის ნათესები დავამუშაოთ სამჯერ (კულტივაცია, გათოხნა);

8. სიმინდის ნათესების 1.400 ჰექტარ ფართობზე გამოვთესოთ ლობიო;

9. მოსავლის მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის მოსავლის აღების დაწყებამდე 15 დღით ადრე მოვამზადოთ საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, ტარა, სატრანსპორტო საშუალებანი და ბელრები. 1944 წლის განმავლობაში რაინონის თითოეულ კოლმეურნეობაში დავამზადოთ სამი ახალი ურემი.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება ვაწარმოოთ შერჩევით, სიმწიფეში შესვლის მიხედვით, და დავამთავროთ 10-12 სამუშაო დღეში, ხოლო სიმინდის აღება დავამთავროთ აშემოდგომო თესვის დაწყებამდე;

10. მოსავლის აღებისას მარცვლის დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით ყველა კომბაინზე მოვაწყოთ მარცვალსაჭერი. მომკისას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სალეწი მანქანების რეგულირებას და არ დავუშვათ გაულეწავი თავთავების დატოვება ნამჯაში;

11. არა უგვიანეს 15-20 დღისა თესვის დაწყებამდე დავამთავროთ ბიადაგის მომზადება 1944 წლის საშემოდგომო თესვისათვის ყველა აგროტექნიკური ღონისძიების დაცვით. საშემოდგომო თესვის თავის დროზე ჩატარებასთან ერთად უზრუნველყოთ მზრალად ხვნის გეგმის შესრულება ვადაზე. შემოდგომაზე მწკრივად დავთესოთ 2.000 ჰექტარი თავთავიანი კულტურები.

მეთამბაქოეობის დარგში:

1. თამბაქოს პლანტაციების საერთო ფართობიდან — 3.300 ჰექტარიდან მივიღოთ მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 10 ცენტნერის ნაცვლად არანაკლებ 11 ცენტნერისა;

2. დროულად და მაღალხარისხიანად მოვამზადოთ დასარგავად სათამბაქოე ნაკვეთები, სულ მცირე 500 ჰექტარზე შევიტანოთ ორგანული სასუქი;

3. თამბაქოს დარგვა მთელ ფართობზე—3.300 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 31 მაისის ნაცვლად დავამთავროთ 25 მაისისათვის;

4. თამბაქოს პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე შევინარჩუნოთ 85-90 ათასი ძირი მცენარე;

5. ჩავატაროთ პლანტაციების კულტივაცია და 4-ჯერ გათოხნა;

6. მოსავლის აღება ჩავატაროთ იარუსებით, ფოთლების მომწიფების მიხედვით, სეზონის განმავლობაში 6-ჯერ, არ დავუშვათ თამბაქოს მოსავლის დანაკარგი. ძირითადი მოსავლის აღების შემდეგ ჩავატაროთ მეორე მოსავლის აღება სულ მცირე 1.000 ჰექტარზე სათანადო აგროღონისძიებათა გატარებით.

მევენახეობის დარგში:

1. დროულად ჩავატაროთ ვენახების რემონტი, უკარგისის ნაცვლად დავრგოთ 25.000 ძირი ვაზი;

2. საგაზაფხულო ხვნა მწკრივთა შორის ჩავატაროთ მთელ ფართობზე 15-18 სანტიმეტრ სიღრმეზე, მწკრივებში დაბარვა 160 ჰექტარ ფართობზე, ვადაზე დავამთავროთ ვენახების გასხვლა და აკვრა. უზრუნველყოთ 4-ჯერ კულტივაცია და გათოხნა, სარგავების 5-ჯერ მკურნალობა ბორდოს ხსნარით და გოგირდის ორჯერ შეფრქვევა;

3. სრულმოსავლიანი ვენახის თითოეულ ჰექტარზე მივიღოთ საშუალოდ სულ მცირე 65 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა;

4. ჩავატაროთ ამერიკული ვაზის აცდეიების გასხვლა და გაწმენდა, საგაზაფხულო ხვნა მწკრივთა შორის დაბარვით 5 ჰექტარზე, 3-ჯერ გათოხნა და კულტივაცია, ორჯერ გაფურჩქვნა და ხელით მარგვლა 5 ჰექტარზე.

გერანის დარგში:

1. გერანის 200 ჰექტარი პლანტაცია უზრუნველყოთ საღი კალმებით და ჰექტარზე შევინარჩუნოთ გეგმით გათვალისწინებული 18.000-ის ნაცვლად არანაკლებ 20.000 ძირისა;

2. დარგვის წინ პლანტაციის მთელ ფართობზე შევიტანოთ ორგანული სასუქი თითოეულ ძირზე არანაკლებ 1-2 კილოგრამის რაოდენობით, ჩავატაროთ გერანის პლანტაციის კულტივაცია და 4-ჯერ გათოხნა;

3. პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე, გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერის ნაცვლად, საშუალოდ მივიღოთ სულ მცირე 100 ცენტნერი მწვანე მასა;

4. 1945 წლისათვის გერანის პლანტაციების კალმებით უზრუნველყოფის მიზნით წელს გერანის სათბურებში გამოვაზამთროთ 4.500.000 კალმი.

მეხილეობის დარგში:

1. 1944 წელს რაიონის კოლმეურნეობებში ჩავატაროთ ხეხილის ბაღების რემონტი 3.000 ძირის რაოდენობით, დავრგოთ ხეხილი მუშათა და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე 3.000 ძირი, გავაშენოთ 0,25 ჰექტარზე ტრიფოლიატის სთესილი სანერგე. ჩავატაროთ ხეხილის გასხვლა და კრონის გაწმენდა 193 ჰექტარზე, რიგთაშორის მოხვნა 143 ჰექტარზე, ხის ტანის ირგვლივ წრეების დაბარვა ორგანული სასუქების შეტანით და შემდგომი სამჯერადი გაფხვიერებით 193 ჰექტარზე. ხეხილის ნარგავთა მავნებლებისა და სოკოვანი დაავადებით დაზიანების თავიდან აცილების მიზნით ჩავატაროთ შეწამლვა.

მეაბრეშუმეობის დარგში:

1. 1944 წელს ყველა კოლმეურნეობაში ჩავატაროთ აბრეშუმის 1.450 კოლოფი ჭიის განსაზოგადოებული გამოკვება. თითოეულ კოლოფზე მივიღოთ სულ მცირე 45 კილოგრამი მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკი;

2. კოლმეურნეობებში აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვების უკეთესი ორგანიზაციისათვის მოვამზადოთ 60 მეაბრეშუმე ბრიგადირი და რგოლის ხელმძღვანელი, შევასწავლოთ მათ აბრეშუმის ჭიის გამოკვების სწორი ორგანიზაციის და წესები. მოვამზადოთ 6 მხმობელი, აგრეთვე 9 ინკუბატორისტი;

3. ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მუშაობის მეთოდების დასანერგავად გაზაფხულზე მოვამზადოთ და გადავამზადოთ აგროტექნიკურ წრეებში 2.000 მეაბრეშუმე;

4. აბრეშუმის ჭიის გამოკვების უკეთესი პირობების შექმნისათვის კოლმეურნეობებში ავაგოთ ფრანკლინის სისტემის 400 ღუმელი;

5. თუთის პლანტაციებში ჩავატაროთ რიგთაშორის დამუშავება, ხის ტანის დასუფთავება, გასხვლა და გადაბერებული ხეების გაახალგაზრდავება, აგრეთვე საჭირო რემონტი. 1944 წელს დავრგოთ 60.000 ძირი მაღალტანიანი თუთის ხე, გავაშენოთ სანერგე 4 ჰექტარზე და სათესლე სანერგე ორ ჰექტარზე.

მეცხოველეობის დარგში:

1. 1944 წელს გადაჭარბებით შეავსრულოთ მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ყველა სახის პირუტყვის მიხედვით;

2. გავზარდოთ და შევინარჩუნოთ ახალი წლის დასაწყისისათვის არსებულ ყოველ 100 სულ ძროხაზე, ფურკამეჩზე და ეშოზელზე სულ მცირე 85 ხბო და ბაჭი, ხოლო ყოველ 100 ფაშატზე სულ მცირე 70 კვიცი;

3. ყოველ 100 დედაცხვარზე გავზარდოთ სულ მცირე 95 ბატკანი;

4. წლის დასაწყისისათვის არსებულ 9 თვისაზე უხნეს ყოველ დედალორზე გავზარდოთ სულ ცხირე 12 გოჭი;

5. გადაჭარბებით შევასრულოთ თითოეული საფურაჟე ძროხის, ცხვრისა და თხის სამუალო წველადობის გეგმები;

6. წლის დასაწყისისათვის არსებულ თითო ცხვარზე მივიღოთ საშუალოდ არანაკლებ 2,8 კილოგრამი მატყლისა;

7. ყოველ კოლმეურნეობაში, მეფრინველეობის ფერმაში ვიყოლიოთ არანაკლებ 200 ფრთა ფრინველისა;

8. 1944-45 წლის ზამთარში საზოგადოებრივი პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის მიზნით დავთესოთ ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახები და სასილოსე მარცვლეული კულტურები სულ მცირე 95 ჰექტარზე, დავამზადოთ უხეშ საკვებზე გადაყვანით 220.000 ცენტნერი საკვები;

9. ორნახევარ წელზე უხნესი მოზვერები, არანაკლებ 600 სულისა, გავზარდოთ იმ ანგარიშით, რომ გამოვიყენოთ საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშაოებისათვის;

10. 1944 წლის ბოლოს ვიყოლიოთ ფუტკრის არანაკლებ 2.100 ოჯახისა და ფუტკრის თითოეულ ოჯახზე კოლმეურნეო საფუტკრეებიდან საშუალოდ მივიღოთ სულ მცირე 35 კილოგრამი თაფლი.

ბანჭანა-ტრაქტორთა სადგურის დარგში:

1. მივამაგროთ სატრაქტორო ბრიგადებზე მიწის ნაკვეთები ერთი წლის ვადით, დავაწესოთ თითოეული ტრაქტორისა და სატრაქტორო ბრიგადისათვის სამუშაო გეგმა, ტრაქტორებისა და კომბაინების მარშრუტები და არ დავუშვათ ტრაქტორების უქმი გადარბენა. თითოეული ბრიგადა დროულად მოვამარაგოთ საწვავი და საცხები მასალით, აგრეთვე შესაკეთებელი ინვენტარით და იარაღით;

2. კომბაინებისა და სალეწების რემონტი დავამთავროთ დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე;

3. გადაჭარბებით შევასრულოთ სატრაქტორო სამუშაოთა 1944 წლის გეგმები ხარისხის დაცვით, მივიღწიოთ თითოეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულების შემცირებას სულ მცირე 10 პროცენტით;

4. 1944 წელს საწვავი და საცხები მასალები დავზოგოთ სულ მცირე 10 პროცენტით, თითოეულ ბრიგადაში ჩავატაროთ გადამუშავებული ზეთის მოგროვება და ჩაბარება, მტს-თან მოეაწყოთ სარეგენერაციო დანადგარი;

5. უზრუნველყოთ დავალებათა შესრულება ტრაქტორებისა და მანქანების სამარაგო ნაწილების რესტავრაციისა და რემონტის დარგში სულ მცირე 200 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადების დარგში:

1. 1944 წელს მოვამზადოთ კოლმეურნეობის 12 მოსაგარიშე, 35 ტრაქტორისტი, 10 კომბაინერის თანაშემწე, რემონტის 2 მუშა, 5 კომბაინერი;

2. აგროტექნიკურ წრეებში მოვამზადოთ კოლმეურნეობათა 440 ბრიგადირი და რგოლის ხელმძღვანელი, 60 ფერმის გამგე, 110 ვეტსანიტარი, 40 მწველავი და მეხბორე, 1.300 კოლმეურნე.

ძვირფასო ამხანაგებო!

ასეთია ჩვენი ვალდებულებები, რაც დაკისრებეთ 1944 წელს, რომ მივიღოთ გაჭარჯვების მოსავალი და მივაღწიოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას.

ამხანაგებო, აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეებო, კოლმეურნე ქალებო, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო!

მოგიწოდებთ ჩაებათ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1944 წელს გამარჯვების მოსავლისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის, ფრონტისადმი ყოველგვარი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის.

მთელი ძალები მოვახმაროთ იმას, რომ კოლმეურნეობებში შრომის სწორი ორგანიზაციით, მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ინაზღაურების კანონის გამოყენებით მივაღწიოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის აღებას.

უხვი მოსავლისათვის!

მოსავლის სანიმუშოდ და უდანაკარგოდ აღებისათვის!

საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის!

გავაძლიეროთ ჩვენი დახმარება ფრონტისადმი, მოვაახლოოთ საზეიმო მტერზე სრული და საბოლოო გამარჯვების ჟამი!

გაუმარჯოს ჩვენს გმირ წითელ არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, გენიალურ მხედართმთავარს ამხანაგ **სტალინს!**

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

შეკრების დავალებით ხელს აწერენ:



პატარა ფელეტონი

მეფეთა ცხოვრებიდან

ამბობენ — სხვაგვარი დრო დადგა, სხვაგვარი სიძულვილები გაჩენილა.

წითელარმიელ კანონადდგა გრიალი რემინეთის ცაზდვარს გადალმა ისმის. ბუქარეანელებ დიდი ხანია ვოქცა მრავალი დიდაკი და თან გაიტაცა „დაბნეულობის გამო“ ახალი სანაზინო თანხა და სახელმწიფო ვალი.

ახლოვდება სერიოზული ამბები.

ამ დროს შორეული მექსიკიდან გაისმა ხმა ყველასგან დიდი ხნის დავიწყებული ფიგურისა: რუმინეთის ყოფილი მეფისა.

რუმინეთის ექს-მბრძანებელი თავის დღეებს ნებივრობაში ატარებდა მეხუნვარე მექსიკის ჰალმებქვეშ. იგი სურათებს იღებდა ტროპიკული კაკტუსების ფონზე ოპერეტულ ზიზილ-პიპილა ჰუნდრიებით გამოწყობილი, საგარეთ ხელში და აყალიბებდა კაიზ-შანტანეს ტრესტს.

ანტონესკუს გაქცევამ, გერმანელების ბერ რუმინეთის ნაყოფიერების ოკუპაციამ, საბჭოთა კანონადის ხმამ რუმინეთის საზღვრებზე შეაშფოთეს „მეფე“ კაროლ II.

მან, როგორც ცირკის გამოცდილმა ცირკმა ყურები სცქვიტა.

ყური მიუგდო. რაღაც იგრძნო. რაღაც გაიგო.

და მაშინვე გაფაკიცებით გაიჩაღა საქმიანობა.

კაროლ მეორემ ინტერვიუში, რადიოში, ჰრეკის საშუალებით, საუბრებში განაცხადა თავის შესახებ, რომ იგი, დიახ, ფაშიზმის მსხვერპლია. თურმე ნუ იტყვით, კაროლ II მედამ ყოფილა ანტიფაშისტი. ბოლოს, კაროლ II თავის „ოფლ“ ეუბნებოდა, „ეს ომი ინგლისელ-ამერიკელ“ უწოდებდა, „ეს — ომი ინგლისელ-ამერიკელ“ ეს უფრო ფართოდ გაიძლება ყოფილი ბრძანის შეტევა და. მისი ეგზალტირებულობა ნამდვილი გუთნისდედა აღმოჩნდება.

ეს სასაცილოა. მაგრამ სიმპატიურია! ადამიანს, რომელიც აზშობდა დემოკრატიის ყოველგვარ გამოვლინებას, თავი ქვეყნის ჰიტლერულ ბანად გადაქცევაში ერთ-ერთმა დამნაშავემ, იმპერიალისტმა, ომელიც ოცნებობდა სამეფამოდ დიმონრეფიის ბესარაბია და მიეკერებინა მისთვის სამხრეთ-უკრაინის ნაჭერი, ერთბაშად შესცვალა თავისი ოპერეტული ზიზილ-პიპილა მუნდირი დემოკრატის გაცვეთილი, ძველისძველი ბიჯაკით და აწუწუნდა, რომ მასაც აწუვნინა ჰიტლერმა...

მსუბუქი ბუსიკის ამ მცოდნემ მხოლოდ ერთი რამ დაამტკიცა: რომ მას ეტყუარი სმენა აქვს. მან დროულად იცვალა კილო, თუმცა საეჭვოა, რომ ეს გამოადგეს რამეში.

ალის ერთგვარი მუქლი, რომელიც უძლიერესი ბარომეტრის გრძნობიერებით განიცდის ბეჭა-ქუხილის ღრუბლის მოახლოებას და ისეთ დროს ცდილობს ბერნინ რაც შეიძლება ახლოს დედა-მიწასთან. მასზე დადეგნებული მერტლები თითქმის მიწას ეხებიან ფრთებით.

ადამიანები ხედავენ ამას და მხოლოდ ერთ რამეს ამბობენ:

— ახლოა ბეჭა-ქუხილი.

რიმა კანდელაკი

კურორტ ფეგეერდის კეთილმოწყობა

ტეგერდა („კომუნისტის“ სპეც. კორ.). კურორტი ტებერდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი სამთო-კლიმატური კურორტია. აქ დიდი წარმატებით იკურნებიან ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულნი და ნერვული ავადმყოფნი. ტებერდის ჰავა კარგად მოქმედებს ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულებზეც.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა აქ თავისი ხანმოკლე პარპაშის განმავლობაში კურორტის მთელი მეურნეობა გააპარტახეს და გაანიავეს. დათელილი და განადგურებულია საკურორტო ბაღები, მოჭრილია ასწლოვანი ფიჭვისა და ნაძვის ხეები, დანგრეულია სანერგნი ქარხანა, საკურორტო ელექტროსადგური და ა.შ. ამას წინათ საქართველოს კურორტთა თმაგარმა სამმართველომ აქ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, რომლებმაც შეისწავლეს კურორტის საქმიანობანი და დაამუშავეს კურორტის კეთილმოწყობის გეგმა.

კურორტის დირექტორის ამხ. ს. ხაჩვინოვის განცხადებით, წელს კურორტის კეთილმოსაწყობად საგრძნობი თანხებია გადადებული. კურორტის დირექციამ უკვე აღადგინა საკურორტო ელექტროსადგური, შეუდგა სანატორიუმების შეკეთებას და სხვა საკურორტო შენობათა რემონტს. მაისში დამთავრდება საკურორტო ბაღებისა და გზაჯვრების გაშენება, ხოლო ივნისის დასაწყისისთვის კურორტის კეთილმოწყობა ძირითადად დამთავრებული იქნება და დაიწყება მოგზაურეთა მიღება.

კურორტის კეთილმოწყობის სამუშაოთა წარმატებას აბრკოლებს ტრანსპორტის სიმცირე და დეფიციტი. ამ მხრივ კურორტის დირექციის დახმარება გაუწიოს საქართველოს კურორტთა მთავარმა სამმართველომ.

ფ. ლომთათაძე

ნახევარი მილიონი კონცერტი წითელ არმიისათვის

27 მარტს მოსკოვში გაიხსნა ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ც. კ-ის მეექვსე პლენუმი. მონაწილეობენ კიევის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკის, კურსკისა და სხვა განთავისუფლებული ქალაქების დელეგატები. პლენუმმა მოისმინა ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ც. კ-ის თავმჯდომარის ა. პოკროვსკის მოხსენება ხელოვნების მუშაკთა შეფობის შესახებ წითელ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტზე.

ომის განმავლობაში ფრონტზე იყო 1.800 სამხატვრო ბრიგადა. მსახიობებმა გამართეს წითელი არმიისა და ფლოტისათვის 550 ათასი კონცერტი და სპექტაკლი. აქედან ნახევარზე მეტი გაიმართა უკანასკნელი წლის განმავლობაში.

„ბრაგედია ავჭინის ბუნში“

კინოქრონიკის ცენტრალურმა სტუდიამ გამოუშვა დოკუმენტალური ფილმი „ტრაგედია ავჭინის ტყეში“. ეს არის ავჭინოდოკუმენტები ჰიტლერელთა ოკუპაციონერ ბორბოტმომეფდების შესახებ. სამოლენსკის ახლოს ავჭინის ტყეში ჰიტლერელებმა ამოხოცეს სამხედრო ტყვეები—პოლონელი ოფიცრები. ჰიტლერელი პროვოკატორები ცდილობდნენ ეს მხეცობა საბჭოთა ორგანოებისათვის გადაებრალებინათ. როცა წითელმა არმიამ გათავისუფლა სმოლენსკი, შესაძლებელი გახდა ჰიტლერელთა მხეცობისა და პროვოკაციის დოკუმენტალური დამტკიცება.

ფილმი გვიჩვენებს ჰიტლერელთა ბარბაროსობის ვულგარულობასა სურათებს. მაყურებელი ხედავს ეკრანზე დაღუპულთა წერილებს, ლაბარათებს, რომელთაც ანის ამ დღეების თარიღი, როცა გერმანელები სმოლენსკში ბარბაროზობდნენ.

ფილმი ახლა ნაჩვენები იქნება თბილისის კინოთეატრებში.

ფოთის თეატრში

ფოთი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ვ. ეიტრიშაკისა და ს. ლაღიძის დრამა „სამშობლოს აღზრდილნი“. პიესა დასდგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გოძიაშვილმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის გ. მილორავას, მუსიკა—შეტაქსას.

პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ: გ. მილორავა (ვასტანგი), თ. ბოროსკანა (ლეტენანტი-მფრინავი), მ. გვალია (გენერალი), ს. გორასელი (ბოხუცი ჰარტაზანი), ლ. უგულავა (ნატაშა), ვ. მიქაშავილი (ადიუტანტი), აკ. დობორჯგინიძე (ბავშვეული), ს. მაგრაძველიძე (გერმანელი პოლკოვნიკი), თ. ლორთქიფანიძე (გერმანელი კომენდანტი).

წარმოდგენა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ვ. ბუჯაბიძე

ლექცია

30 მარტს, საღამოს 8 საათზე, მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალში (რუსთაველის პროსპექტი, 33/35) შესდგება ამხ. ენუქიძის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„გერმანია-ფინეთის ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომში“.** ბილეთების მიღება შეიძლება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურელის სახელობის საქალაქო პარტბიბლიოთეკაში (ლენინის ქ. № 41) ღილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

„ჯარისკაცის ღიღება“

თბილისში ჩამოვიდა და საგასტროლო კონცერტებს აწყობს სსრკ შინსახკომის სანაპირო დაცვის ჯარების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ს. შკოლნიკის სახელობის